საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება N 01-10/49

ქ. ბათუმი 03 მაისი, 2022 წ.

ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობებისა და სტუდენტური პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, ,,ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების (ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს N07-01/22, 20.04.2022წ. გადაწყვეტილებით) და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 03 მაისის N442822 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობები და სტუდენტური პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმა, წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ,,ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაცია და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2018 წლის 16 აპრილის N01-11/51 ბრძანება.
3. ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს დაევალოს წინამდებარე ბრძანებით განხორციელებული ცვლილების გათვალისწინებით პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმისა და სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელება ბსუ-ს პორტალისა და სხვა წყაროების საშუალებით.
3. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
5. ბრძანება ამოქმედდეს გამოცემისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იაკინთე ჩხარტიშვილი

,,ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობებისა და სტუდენტური პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის N 01-10/49 ბრძანების

დანართი № 1

ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობები და სტუდენტური პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმა

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების შესაბამისად წარმოდგენილ სტუდენტურ საპროექტო განაცხადს თან უნდა ერთვოდეს პროექტის საბიუჯეტო განაცხადი (შედგენილი წინამდებარე დანართზე თანდართული ფორმის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ცხრილში სტრიქონების დამატება).
2. პროექტის ბიუჯეტი ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს პროექტის ამოცანებთან.
3. ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობებია:
   ა) სტუდენტთა სამეცნიერო პროექტის - 3000 ლარი;
   ბ) სტუდენტთა საგანმანათლებლო ან კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის ბიუჯეტი - 5000 ლარი.
4. პროექტის საბიუჯეტო განაცხადში აღიწერება პროექტის საერთო ბიუჯეტი, პროექტით გათვალისწინებული და განსახორციელებელი ღონისძიებების/აქტივობის და მათი განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების ჩამონათვალი (ხარჯის დეტალური გაანგარიშებით).
5. პროექტის საბიუჯეტო განაცხადის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) აღინიშნოს იმ ღონისძიების/აქტივობის ჩამონათვალი, რომლებიც შეესაბამება პროექტის ამოცანებს (მკაფიოდ უნდა განისაზღვროს ხარჯის განხორციელებისგან მისაღები შედეგი და მისი კრიტერიუმი);

ბ) ბიუჯეტის პუნქტებში შესაბამისი აქტივობის/საცალო ღირებულება უნდა მიეთითოს ლარებში (დოლარში მითითების შემთხვევაში უნდა მიეთითოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარებში);

გ) პროექტის ავტორის შრომის ანაზღაურება შეიძლება განისაზღვროს მთლიანი ბიუჯეტის არაუმეტეს 20%-ით, რომელიც უნდა გაიცეს პროექტის დასრულების შემდგომ, პროექტის შესრულების ანგარიშის (ფინანსური და პროგრამული) წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

დ) პროექტის ფარგლებში საჭირო აღჭურვილობას (მათ შორის: კომპიუტერის (ლეპტოპი), პროექტი ან/და სხვა სახის ტექნიკას) უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თავის ბალანსზე არსებული საშუალებებით, პროექტით გათვალისწინებული აქტივობის

განხორციელებისათვის დროებითი სარგებლობის პირობით, ხოლო თუკი პროექტის განხორციელებისათვის საჭირო აღჭურვილობა/ტექნიკა უნივერსიტეტს არ აქვს საკუთრებაში/სარგებლობაში ან/და შეუძლებელია პროექტისათვის მისი გამოყენება, საბიუჯეტო **განაცხადში უნდა** მიეთითოს ნივთის საფირმო დასახელება, მოდელის ნომერი ან/და სხვა ინფორმაცია (ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით), კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ღონისძიებების განხორციელებისათვის;

ე) პროექტში ტრენერის, ექსპერტის და/ან სხვა პირის მოწვევის საჭიროების შემთხვევაში საბიუჯეტო განაცხადში უნდა მიეთითოს გასაცემი შრომის ანაზღაურება და აგრეთვე წარმოდგენილი უნდა იქნეს მოსაწვევი პირის პროექტში მონაწილეობის თანხმობის წერილი, CV და პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) პროექტით გათვალისწინებული აქტივობის განხორციელების ვადების ან/და ბიუჯეტის ცვლილებასთან დაკავშირებით, პროექტის ხელმძღვანელმა 10 სამუშაო დღით ადრე, ელექტრონული საქმისწარმოების (პორტალის) მეშვეობით უნდა მიმართოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (ამ ვადის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია შეფერხდეს (შეჩერდეს) პროექტის განხორციელება);

ზ) პროექტის საბიუჯეტო განაცხადი არ უნდა შეიცავდეს ისეთ პუნქტებს/ჩანაწერებს, რომლებიც არ არის აუცილებელი, არ არის არსებითი ან შეუსაბამოა პროექტისათვის;

6. პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში, პროექტზე პასუხისმგებელმა პირმა ან/და წარმომადგენელმა უნივერსიტეტის მიერ გადაცემული შესაბამისი მატერიალური რესურსი (კომპიუტერული ტექნიკა ან/და სხვა) უნდა დაუბრუნოს უნივერსიტეტს და უფლებამოსილ პირთან გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

სტუდენტური სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული პროექტის საბიუჯეტო განაცხადი

	პროექტის დასახელება -												
	პროექტის მოკლე აღწერა -												
N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად						
1												
2												
3												
4												
5												
6												